ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა **„განათლების მეცნიერებები “**

ნაზი ომარაშვილი

სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პრაქტიკის კვლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებში

(სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების მაგალითზე)

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ეფემია ხარაძე,
თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი
2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფით პრაქტიკის კვლევას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. საზოგადოდ ცნობილია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სწავლის პროცესში შესაბამისი სასწავლო ლიტერატურის არსებობა. ვერცერთი სასწავლო კურსი და პროგრამა ვერ შეძლებს გავიდეს სწავლის შედეგებზე რელევანტური სასწავლო მასალის გარეშე, რომელის ხელმისაწვდომობასაც უნდა უზრუნველყოფდეს ფაკულტეტი და უნივერსიტეტი. სწორედ ამიტომ, საქართველოს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები ამოწმებს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის რესურსებს, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზებს. ვიზიტზე მყოფი ექსპერტთა ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, სწორედ ამ საკითხებს. და არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც, დიდ ყურადღებას უთმობენ ამ საკითხებს და ხდება როგორც შიდა, ასევე გარე, მუდმივი მონიტორინგი. ამდენად, კვლევა **აქტუალურად** მიგვაჩნია, რადგან ის დაადგენს რამდენად გავყავართ აღნიშნულ სტანდარტებსა და განხორციელებულ მონიტორინგს, რეალურ შედეგზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოვიძიეთ შესაბამისი ლიტერატურა და კვლევები, თუმცა აღმოჩნდა, რომ მსგავსი ფართო მასტაბის კვლევა საქართველოს ამ კონკრეტულ უნივერსიტეტში, კონკრეტულ ფაკულტეტებზე არ განხორციელებულა, და ჩატარებული კვლევები (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ) მხოლოდ ზედაპირულად ეხება საკითხს. აქედან გამომდინარე, ჩვენი კველვა წარმოადგენს **სიახლეს**.

სხვადასხვა ლიტერატურისა და კვლევების გაცნობის შემდგომ, შევიმუშავეთ **ჰიპოთეზა**: თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს აქვთ სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის პრობლემა. ამის რამოდენიმე მიზეზი არსებობს: ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირე და უნივერსიტეტის ბილიოთეკაში სასწავლო ლიტერატურის ნაკლებობა.

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემატიკის კვლევა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, დავისახეთ შემდეგი **ამოცანები:**

- მეორეული ინფორმაციის დამუშავება/არსებული ლიტერატურის მიმოხილვა საქართველოსა და უცხო ქვეყნის მაგალითზე;
- საკითხის/პრობლემის განსაზღვრა;
- კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- კვლევა;
- კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი;
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება;

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის **საგანია** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პრაქტიკული რეალიზება, ხოლო **ობიექტი** - სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პრაქტიკული რეალიზების პროცესი.

კვლევის **მეთოდები**: თვისებრივი კვლევა, კერძოდ, დოკუმენტაციის, შესაბამისი კვლევებისა და ლიტერატურის ანალიზი და რაოდენობრივი კვლევა. რესპონდენტებად მიზნობრივად შეირჩა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების 140 ბაკალავრიატის სტუდენტი. აღნიშნული კვლევის შედეგები დეტალურადაა მოცემული წინამდებარე ნაშრომში.

Omarashvili Nazi

Study on practice for providing textbooks in Tbilisi State University students

(On the example of the faculties of social and political sciences and the exact and natural sciences)

Annotation

The following master's thesis deals with the study of the practice of providing textbooks in the higher education institution. It is generally known how important the existence of relevant education literature in the study process is. No training course and the program will be able to pass the results of the study without the relevant education materials, accessibility on which should be facilitated the faculty and the university. This is why the authorization and accreditation standards of Georgia check the resources of the university and faculty, material-technical bases. A group of experts on the visit pay special attention exactly to these issues. And not only in Georgia, but abroad too, they pay attention to these issues and are subject of both internal and external monitoring. Therefore, we consider the research to be relevant because it establishes how we are able to identify these standards and the actual monitoring results.

In this regard, we have found relevant literature and researches, but it was found that such a wide study in Georgia never conducted in this specific University and faculty and already conducted studies (by Quality Assurance Service) were only softly refers this issue. so the present research is unique and innovative.

After reviewing various literature and researches, we developed hypothesis: Students of the faculties of Exact and Natural Sciences and Social and Political Sciences at Tbilisi State University have problems on the access to textbooks. There are several reasons for this: lack of Georgian literature and lack of educational literature in university library.

The aim of the master's thesis is to study of problems related to providing students with textbooks of the Faculty of Exact and Natural Sciences, Social and Political Sciences of Tbilisi State University. In order to reach these goals, we set the following tasks:

- Development of secondary information / review of existing literature on the example of Georgia and foreign countries;
- Determine the issue / problem;

- Development of research methodology;
- research;
- Analysis of information received as a result of research;
- Development of conclusions and recommendations;

The subject of the Master's thesis is to study practical realization of providing textbooks for the faculties of social and political sciences and exact and natural sciences in Tbilisi State University. The research object is the process of practical realization of providing textbooks.

Research methods: Qualitative research, in particular, documentation, relevant research and literature analysis and quantitative research. 140 Bachelor students of Social and Political and Exact and Natural Sciences Faculties of Tbilisi State University were selected as target respondents. The results of this study are presented in the following thesis, in detail.

სარჩევი

შესავალი 7

თავი I. პრობლემის არსი და საკითხის ისტორიული მიმოხილვა 11

1.1 პრობლემის არსი 11

1.2 საბჭოთა კავშირის განათლების კანონმდებლობის მიმოხილვა 13

თავი II: საქართველოში არსებული კანონმდებლობისა და სტანდარტების მიმოხილვა 17

თავი III: უცხო ქვეყნებში არსებული კანონმდებლობა და სტანდარტები 22

3.1 ესტონეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების მიმოხილვა 22

3.2 გერმანიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების მიმოხილვა 25

თავიIV: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკა 28

კვლევითი ნაწილი 36

დასკვნები 57

რეკომენდაციები 59

გამოყენებული ლიტერატურა: 60

დანართი 1

შესავალი

უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კარგი სახელმძღვანელოებით და ზოგადად, სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფას და მათ ხელმისაწვდომობას, გამომდინარე იქიდან, რომ მის გარეშე შეუძლებელია სწავლის შედეგებზე გასვლა. რაც უფრო ხელმისაწვდომია იგი სტუდენტებისთვის, უფრო კომფორტული და მოსახერხებელია სწავლის პროცესი, რადგან მათ არ სჭირდებათ ზედმეტი დროის და ძალისხმევის დახარჯვა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათი მხრიდან მოტივაციის დაკარგვა. ამიტომაც ხდება მუდმივი კონტროლი პროგრამებისა და უნივერსიტეტის, რათა გამოჩნდეს რამდენად კარგად არის მოგვარებული ეს საკითხი, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად.

სამაგისტრო ნაშრომი ეხება სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფით პრაქტიკის კვლევას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. საზოგადოდ ცნობილია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სწავლის პროცესში შესაბამისი სასწავლო ლიტერატურის არსებობა. ვერც ერთი სასწავლო კურსი და პროგრამა ვერ შეძლებს გავიდეს სწავლის შედეგებზე რელევანტური სასწავლო მასალის გარეშე, რომელის ხელმისაწვდომობასაც უნდა უზრუნველყოფდეს ფაკულტეტი და უნივერსიტეტი. სწორედ ამიტომ, საქართველოს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები ამოწმებს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის რესურსებს, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზებს. ვიზიტზე მყოფი ექსპერტთა ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სწორედ ამ საკითხებს. და არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც დიდ ყურადღებას უთმობენ ამ საკითხებს და ხდება როგორც შიდა, ასევე გარე, მუდმივი მონიტორინგი.

ნაშრომი საინტერესოა, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით.

თითოეულ ნაწილში განვრცობილია არსებული ცოდნა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით უმაღლეს სკოლაში, როგორც საქართველოს მაგალითზე, ასევე საერთაშორისო მასტაბით.

I თავი: ნაშრომის პირველ თავში განხილულია პრობლემის არსი. კონკრეტულად რა სახის პრობლემებს აწყდებიან სტუდენტები სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით.

ხშირ შემთხვევაში სახელმძღვანელოები ინგლისურ ენაზეა და სტუდენტებმა არ იციან ინგლისური შესაბამის დონეზე, ზოგჯერ, საკმარისი რაოდენობის წიგნები არა არის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და თუ არის მათ არ აქვთ ადგილობრივი ბიბლიოთეკიდან გამოტანის უფლება, ამიტომ იძულებულნი ხდებიან მიმართონ ცენტრალურ ბიბლიოთეკას, რაც დროს აკარგვინებს სტუდენტებს. ამავე თავის მეორე პარაგრაფში წარმოდგენილი გვაქვს საკითხის ისტორიული მიმოხილვა და განვიხილავთ იმ კანონებს, რაც საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა განათლების სფეროში სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

II თავი: მეორე თავში საუბარია საქართველოში არსებული კანონებსა და სტანდარტებზე, რომლებიც მონიტორინგს უწევენ და არეგულირებენ, იმას რომ, უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ შესაბამისი რესურსებით და მათ შორის სასწავლო ლიტერატურით. უფრო კონკრეტულად კი, მეორე თავში განხილული გვაქვს საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონი, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები.

III თავი: მესამე თავში წარმოდგენილია უცხოური გამოცდილება და შედარების მიზნით განხილული მაქვს ესტონეთისა და გერმანიის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები და აგრეთვე წარმოდგენილი მაქვს შედარებითი ანალიზი.

IV თავი: მეოთხე თავი მოიცავს ინფორმაციას საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის შესახებ და წარმოდგენილი ინფორმაცია ეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და ტარტუს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებს. მასში ვრცლად არის გადმოცემული თუ რა სახის მომსახურებებს სთავაზობენ ისინი მომხმარებლებს.

ვინაიდან, სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც, აღნიშნული პრობლემის **აქტუალობაც** ცხადია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოვიძიეთ ბევრი ლიტერატურა და კვლევები, თუმცა აღმოჩნდა, რომ მსგავსი ფართო მასტაბის კვლევა საქართველოს ამ კონკრეტულ უნივერსიტეტში, კონკრეტულ ფაკულტეტებზე არ ჩატარებულა, და ჩატარებული კვლევები (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ) მხოლოდ

ზედაპირულად ეხება საკითხს. აქედან გამომდინარე ჩემი კველვა წარმოადგენს **სიახლეს.**

სხვადასხვა ლიტერატურისა და კვლევების გაცნობის შემდგომ, შევიმუშავეთ **ჰიპოთეზა:** თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს აქვთ სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის პრობლემა. ამის რამოდენიმე მიზეზი არსებობს: ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირე და უნივერსიტეტის ბილიოთეკაში სასწავლო ლიტერეტურის ნაკლებობა.

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემატიკის კვლევა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**:

- მეორეული ინფორმაციის დამუშავება/არსებული ლიტერატურის მიმოხილვა საქართველოსა და უცხო ქვეყნის მაგალითზე;
- საკითხის/პრობლემის განსაზღვრა;
- კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- კვლევა;
- კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი;
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის **საგანია** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პრაქტიკული რეალიზება, ხოლო **ობიექტი** - სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პრაქტიკული რეალიზების პროცესი.

კვლევის **მეთოდები**: თვისებრივი კვლევა, კერძოდ, დოკუმენტაციის, შესაბამისი კვლევებისა და ლიტერატურის ანალიზი და რაოდენობრივი კვლევა. რესპონდენტებად მიზნობრივად შეირჩა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების 140

ბაკალავრიატის სტუდენტი. აღნიშნული კვლევის შედეგები დეტალურადაა მოცემული წინამდებარე ნაშრომში.

თავი I. პრობლემის არსი და საკითხის ისტორიული მიმოხილვა

1.1 პრობლემის არსი

კარგი სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა დღემდე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ითვლება ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში. ქართულად ლიტერატურა არის ძალიან ცოტა და უმაღლესი სასწავლებლებისთვის არსებული სამეცნიერო ლიტერატურა ხშირ შემთხვევში ინგლისურენოვანია. საქართველოში კი ინგლისური ენის ცოდნასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები არსებობს. ის, რომ სტუდენტმა ინგლისური კარგად უნდა იცოდეს, 21-ე საუკუნის კაპრიზი არ არის. მისი ცოდნა განაპირობებს მის უნარებს, მის მკვლევარობას, იმიტომ რომ, როცა ინგლისური იცი, იცი, რა ხდება თანამედროვე მსოფლიოში სხვადასხვა დისციპლინებში.[1]

გარდა ამისა, ხშირად სახელმძღვანელო ნაბეჭდი სახით არ არსებობს, (ან არსებობს, მაგრამ სტუდენტებისთვის არ არის ხელმისაწვდომი მაღალი ფასის გამო) და არსებობს მხოლოდ ელექტრონული ვარიანტი, რომელიც ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის სტუდენტისთვის. რიგ შემთხვევებში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაც კი ვერ ახერხებს ამ პრობლემის მოგვარებას, რადგან შეიძლება იყოს ბიბლიოთეკაში ამა თუ იმ წიგნის რამოდენიმე ეგზემპლარი, მაგრამ როდესაც ფაკულტეტზე 100-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს და ეს წიგნი წარმოადგენს ძირითად სახელმძღვანელოს, ბუნებრივია, ყველა ვერ მოახერხებს მისით სარგებლობას. ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები თავისთავად სწავლის ხარისხსა და გარემოზე უარყოფითად აისახება და ეს დისკომფორტს უქმნის არა მხოლოდ სტუდენტებს არამედ ლექტორებსაც, რადგან ასეთ შემთხვევებში ისინი იძულებულნი არიან გამოძებნონ რაიმე გზა და საშუალება (მაგალითად, შექმნან რიდერი, გააკეთონ თარგმანი და ა.შ.), რომ სწავლების პროცესი არ შეფერხდეს და საბოლოოდ ისინი გავიდნენ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებზე. ამაზე მეტყველებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტუდენტური გამოკითხვის ანგარიში, რომელიც წარმოადგინა 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩატარებული კვლევის შესახებ. ეს ანგარიში ასახავს ივანე

[1] ტაბატაძე Ш.,2018.https://primetime.ge/news/1539603892%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო კურსების შინაარსითა და ლექტორთა კომპეტენციით სტუდენტთა კმაყოფილების ხარისხის კვლევის შედეგებს, სასწავლო პროცესის მსვლელობის წარმატებებსა და ნაკლოვანებებს ბაკალავრიატის აკადემიური საფეხურისა და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების გამოკითხვაზე დაყრდნობით. თითოეულ კითხვაზე პასუხი წარმოდგენილი იყო ციფრობრივად, 5 ქულიანი შეფასების სკალით თითეულ კითხვას ჰქონდა პასუხის 5 ვარიანტი: სრულიად ვეთანხმები 5-დან სრულიად არ ვეთანხმები 1-მდე. კითხვარი იძლეოდა სტუდენტის მიერ ვერბალური კომენტარების დატოვების საშუალებასაც. პასუხები ინტერვალში 2.5- 5 ჩაითვლა დადებითად, ინტერვალში 1-2 არა დამაკმაყოფილებლად, ხოლო ინტერვალში 2 - 2.5 - პრობლემატურ, კრიტიკულ შეფასებად. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, გამოკითხვში მონაწილეობა მიიღო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 1045-მა სტუდენტმა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 1247- მა სტუდენტმა. გამოკითხულ სტუდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი) სასწავლო საგნები და პედაგოგები შეეაფასა დადებითად (2,5-5). თუმცა მათ ჰქონდათ შენიშვნები სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, და ერთ- ერთ მთვარ პრობლემად ისინი სწორედ სახელმძღვანელოებს ასახელებდნენ.

„1. ლექციებზე შემთხვევების (ქეისების) განხილვის სიხშირის გაზრდა;

2. ახალი სამხელძღანელობის და სასწავლო ლიტერატურის გამოცემა;

3. ლექტორისა და სასემინარო ჯგუფის ხელმძღვანელის შეთანხმებული მუშაობა, მათ შორის ნაშრომების გასწორებასთან მიმართებაშიც;“[2]

რაც შეეხება ზუსტ და საბუნებიმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს, პროგრამების უმეტესობა შეფასდა დადებითად, თუმცა 4 სასწავლო კურსში დაფიქსირდა არადამაკმაყოფილებელი შეფასება, საიდანაც ამ სასწავლო კურსებიდან 2 შეფასებულია მხოლოდ 1 სტუდენტის მიერ, ერთი კი - 2 სტუდენტის მიერ. რაც შეეხება სტუდენტების კომენტარებს, ნომერ პირველ პრობლემად დასახელდა შემდეგი: *„წარმოდგენილი კომენტარების ნაწილი ეხება სასწავლო ლიტერატურის განახლებას,*

[2]ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, 2015-2016წწ ანგარიში

მოდიფიკაციას და მათ განთავსებას ელექტრონული სწავლების პორტალზე e-learning-ზე.“[3]

მსგავსი კომენტარები დაფიქსირდა სხვა ფაკულტეტის სტუდენტების მიერ. მაგ: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, მედიცინის, იურიდული და განათლებისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ.(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, 2015-2016 წწ.)

როგორ ანგარიშიდან ჩანს, სახელმძღვანელოების პრობლემა მართლაც, რომ სერიოზული პრობლემაა დღესდღეობით.

1.2 საბჭოთა კავშირის განათლების კანონმდებლობის მიმოხილვა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი), რომელიც შეიქმნა 1927 წელს, ვხვდებით ასეთ მუხლს: „ *14. რათა მშრომელთათვის ნამდვილად ხელმისაწდომი იქნეს ცოდნა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკას დასახული აქვს მიზნად მისცეს ყველა მშრომელს სრული, ყოველმხრივი და უფასოს სწავლა-განათლება.“*[4] ესაა ერთადერთი ჩანაწერი 1927 წლის კონსტიტუციაში, რომელიც საუბრობს განათლების ხელმისაწვდომობაზე და საყოველთაობაზე, თუმცა ძალიან ზოგადია და ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმება ყოველმხრივ და უფასო განათლებაში, ან რა მეთოდებითა და საშუალებებით აპირებდნენ ამ ყველაფრის მიღწევას.

1959 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ, იქმნება კანონი საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ, რომელიც შედგება 4 კარისაგან: კარი I- საშუალო სკოლის შესახებ, კარი II- პროფესიულ-ტექნიკური განათლების შესახებ, კარი III- საშუალო სპეციალური განათლების შესახებ, კარი IV -

[3]ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, 2015-2016წწ ანგარიში

[4]საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია, თბილისი, 1927წ http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.11&d=HASH017e0040461d5b9067d374a5&gt=1

უმაღლესი განათლების შესახებ. თითოეული ნაწილი დეტალურად განსაზღვრას საკითხს.

რაც შეეხება, უშუალოდ უმაღლეს განათლებას, ამ ნაწილში საუბარია თუ რა რეგულაციები უნდა არსებობდეს უნივერსიტეტისთვის, როგორ ხდება უნივერსიტეტში მიღება, რა უფლებები და მოვალეობები გააჩნია სტუდენტს. საკმაოდ ხშირად ვხვდებით ისეთ მუხლებს, რომელშიც საუბარია თუ რამდენად მნიშვნელოვანია რომ სტუდენტს ჰქონდეს პრაქტიკის საშუალება სხვადასხვა ბაზაზე, გარკვეული თეორიული ცოდნის დაგროვების შემდეგ და რომ ტექნიკურ - მატერიალური ბაზის ჩართულობა სასწავლო პროცესში აუცილებელია. კანონში გაწერილია, რომ უნივერსიტეტი ვალდებულია გამოსცეს სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც აუცილებელია სწავლის პროცესში და მოსახლების ცოდნის დონის ასამაღლებლად. ამ კანონის 52 მუხლში ვკითხულობთ: *„ამაღლდეს უმაღლეს სასწავლებელთა როლი მოსახლეობაში მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გავრცელების საქმეში, მოეწყოს უმაღლესი სასწავლებლების წამყვან მეცნიერთა სისტემატური გამოსვლები საჯარო ლექციებითა და მოხსენებებით მეცნიერულ და პოლიტიკურ თემებზე, უმაღლესმა სასწავლებლებმა გააფართოონ სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოშვება, ფართოდ გამოიყენონ რადიო და ტელეხედვა ლექციებისა და მოხსენებებისთვის....“*[5]

ამავე კანონის 53 მუხლის ე ქვეპუნქტში ვკითხულობთ: *„სპეციალიზებული გამომცემლობის შექმნა, რათა დაკმაყოფილებულ იქნას სასწავლო ლიტერატურაზე უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა სტუდენტების მოთხოვნილება, განსაკუთრებით იმ სტუდენტებისა, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ.“*[6]

როგორც ვხედავთ, 60-იან წლებში კანონით იყო გაწერილი, რომ უნივერსიტეტი ვალდებული იყო სტუდენტები უზრუნველეყო სასწავლო ლიტერატურით და არა მხოლოდ სტუდენტები, გამოეშვა იმ ტიპის სამეცნიერო ლიტერატურა, რომ მოქალაქეებს შანსი მისცემოდათ მეცნიერების სხვავდასხვა დარგში ცოდნა მიეღოთ.

---

[5]საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ, თბილისი, 1959 წელი, გვ 29

[6]საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ, თბილისი, 1959 წელი, გვ. 29

ამის შემდგომ, 1976 გამოცემულ კანონში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო განათლების შესახებ კანონის 63-ე მუხლში, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის მათავარ ამოცანებს განასაზღვრავს, ვკითხულობთ, რომ უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნა. (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო განათლების შესახებ, 1976 წელი). ჩემი აზრით, ეს ნაწილი თვისთავად გულისხმობს იმას, რომ უნივერსიტეტმა უნდა მოახდინოს ახალი წიგნების გამოშვება, რომლებიც მორგებული იქნება სტუდენზე და მის საჭიროებებზე, რაც თავისთავად მისასალმებელი ფაქტია, რადგან ყველაზე კარგად უნივერსიტეტმა იცის, როგორი სახელმძღვანელო სჭირდება თავის სტუდენტს.

შემდეგი კანონი, რომელშიც განათლების საკითხებს ეხება არის 1979 წელს გამოცემული დოკუმენტი სახელწოდებით - კანონმდებლობა სახალხო განათლების შესახებ, რომლის ზოგადი დებულებების მე-7 მუხლის, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთვის დაკისრებულ ამოცანებს, ზ ქვეპუნქტში ვკითხულობთ: *„მოაწყობს სახელმძღვანელოების, დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოების და მეთოდური ლიტერატურის მომზადებას და გამოცემას რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისთვის, შეიმუშავებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდითი წიგნების მშობლიურ ენაზე გამოცემის ყოველწლიურ და პერსპექტიულ გეგმებს და მათ ტირაჟებს...“*[7] ამავე მუხლის უ ქვეპუნქტში წერია, რომ სამინისტრო უზრუნველყოფს სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის მომზადებას და გამოცემას. (კანონმდებლობა სახალხო განათლების შესახებ, 1979)

როგორც ვხედავთ, გასულ საუკუნეში, სახელმძღვნელოების ხელმისაწვდომობასა და უზრუნველყოფას უმაღლეს სასწავლებლებში საკმაოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ, უფრო მეტიც, იმდენად მნიშვნელოვნად, რომ კანონში იყო გაწერილი. საგულისხმო და აღსანიშნი ფაქტია, რომ მშობლიურ ენაზე უნდა ყოფილიყო შედგენილი სახელმძღვანელოები, მიუხედავად იმისა რომ საბჭოთა კავშირში დომინანტი ენა რუსული იყო და მისი ცოდნა აუცილებლობას წარმოადგენდა.

[7]საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებული, თბილისი, 1979 წელი გვ.595

სამინისტრო ვალდებულებას იღებდა თავის თავზე და ამავდროულად უნივერსიტეტსაც აკისრებდა მოვალეობას, რომ ეზრუნა არა მხოლოდ სახლემძღვანელოების შექმნაზე, არამედ, მეთოდური სახელმძღვანელოების შექმნაზეც, რაც თავითვად კომფორტს შეუქმნიდა, როგორც სტუდენტებს, ასევე ლექტორებს. გარდა ამისა, სამინისტრო განსაზღვრავდა ტირაჟს, საჭიროებიდან გამომდინარე.

თავი II: საქართველოში არსებული კანონმდებლობისა და სტანდარტების მიმოხილვა

დღესდღეობით არსებობს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, რომელიც არეგულირებს უმაღლეს განათლებაში მიმდინარე პროცესებს, რომელიც შემუშავებული 2004 წელს. ამ კანონში არასად გვხვდება პირდაპირი ჩანაწერი იმის შესახებ, რომ სამინისტროს ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს ვალდებულება, რომ სტუდენტები უზრუნველყონ სახელმძღვანელოებით, თუმცა ამ დებულების მე-8 და მე-9 თავები მოიცავს რეგულაციებს ავტორიზაციასაა და აკრედიტაციის პროცედურების შესახებ. ავტორიზაცია და აკრედიტაცია არის ის საფეხურები, რომელიც უნდა გაიაროს უმაღლესმა საგანმანათლებლო პროგრამამ, იმისათვის, რომ განახორციელოს სწავლების პროცესი. თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი სტანდარტები.

საქართველოს ავტორიზაციის დოკუმენტი შეესაბამება ევროპის უმაღლესი განათლების მოთხობნებს. ამ პროცესის მიზანია, რომ უმაღლესი განათლება იყოს მაღალხარისხიანი და რაც შეიძლება უკეთესი სასწავლო გარემო შეუქმნას სტუდენტებს.ავტორიზაციის ჩატარების მიზნით, ხარისხის განვითარების ეროვნული ჰქმნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, რომელის შექმნა და საქმიანობა განისაზღვრება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დოკუმენტით. ამ დოკუმეტს გააჩნია 7 სტანდარტი, რომელებსაც აგრეთვე აქვთ თავისი ქვეპუნტები, ესენია:

1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 უსდ-ს მისია

1.2 სტრატეგიული განვითარება

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

2.2 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

3. საგანმანათლებლო პროგრამები

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

4. უსდ-ის პერსონალი

4.1 პერსონალის მართვა

4.2 აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

5.1სტუდენტის სტატუსის მოპოვების და შეცვლის, განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

6.1 კვლევითი საქმიანობა

6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

6.3 კვლევითი საქმიანობის შეფასება

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

7.1 მატერიალური რესურსები

7.2 საბიბლიოთეკო რესურსები

7.3 საინფორმაციო რესურსები

7.4ფინანსური რესურსები (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები, 2018)

როგორც ვხედავთ, მე-7 სტანდრტი ამოწმებს უნივერსიტეტში რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით. აკონტროლებს რამდენად მოწყობილია ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზი, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცე, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცე; ხელმისაწვდომია თუ არა ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები სტუდენტებისთვის, რამდენად მოიძიება ბიბლიოთეკაში ის ძირითადი ლიტერატურა, რომელიც მითითებულია სილაბუსებში, აქვთ თუ არა სტუდენტებს საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა და ა.შ. (უმაღლესი საგანმანათლებლ ოდაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები, 2018).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2018 წელს გაიარა ავტორიზაცია და მე-7 სტანდარტი, რომელიც ამოწმებს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ნაწილობრივ შესაბამისობაში აღმოჩნდა მოთხოვნებთან, უფრო

კონკრეტულად კი, მატერიალური რესურსები ნაწილობრივ შესაბამისობაში აღმოჩნდა მოთხოვნებთან, საბიბლიოთეკო რესურსები - მეტწილად შესაბამისობასია მოთხოვნებთან, საინფორმაციო რესურსები - შესაბამისობასია მოთხოვნებთან. როგორც ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფი აღნიშნავს დასკვნაში, თსუ ფლობს დიდ საბიბლიოთეკო რესურსს, როგორც სტუდენტების გამოკითხვამ აჩვენა საერთო ჯამში ისინი კმაყოფილები არიან საბიბლიოთეკო მომსახურებით, გარდა ერთისა, სტუდენტებისთვის წიგნის თხოვების მომსახურებისა. (უსდ-ს ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მე-7 სტანდარტი) ფაკულტეტის ბიბლიოთეკებიდან წიგნის გატანის უფლება არ აქვს სტუდენტს, მას შეუძლია მხოლოდ ადგილზე იმუშავოს. წიგნის გატანა შესაძლებელია მხოლოდ გრიგოლ წერეთლის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკიდან, საიდანაც წიგნი უნდა გამოიწერო, ან ადგილზე მიხვიდე, რაც სტუდენტებისთვის მოუხერხებელია მისი ადგილმდებარეობის გამო და ორივე შემთხვევაში მათ უწევთ დროის კარგვა.

2018 წელშივე ავტორიზაცია გაიარა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელიც საქართველოში ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტად ითვლება და შედარების მიზნით, წარმოგიდგენთ მე-7 სტანდარტის ექსპერტების შეფასებას. თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტისაგან განსხვავებით, მეშვიდე სტანდარტი თავისი ქვეპუნქტებით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. დასკვნაში ვკითხულობთ: *„მომსახურებები, როგორიცაა: წიგნის დაჯავშნა, კონკრეტულ საკითხზე ბიბლიოგრაფიის მოძიება, წიგნები პარტნიორი ბიბლიოთეკებიდან, აუდიო წიგნების მომზადება, ელექტრონული წიგნები, საკითხავი მასალა ბრაილით, ასევე უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის მიერ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აქტიურად ავითარებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აკადემიურ საცავს, მათ სტატიებს, წიგნებს, პუბლიკაციებს, ვიდეო-ლექციებს, თარგმანებს და სხვ.“*[8]

როგორც ვხედავთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მიუხედავად იმისა, რომ უფრო დიდი წიგნის მარაგი გააჩნია, მისი სერვისის გამო, რომელიც სტუდენტებისთვის მოუხერხებელია და მათ ერთგვარ დისკომფორტს უქმნის, აქვს

[8]სსიპ - ილიას სახემწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, 2018, გვ. 50

არასახარბიელო შეფასება, მაშინ როდესაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ სტანდარტთან სრულად შესაბამისობაში.

რაცშეეხება, უმაღლესი საგამნმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციას იგი რეგულირდებ ადოკუმენტით „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების, სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის წესისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროგრმა, რომელსაც უნივერსიტეტი გაიტანს სააკრედიტაციოდ შეფასდება 5 სტანდარტის მიხედვით, ესენია:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

   1.1.პროგრამის მიზნები

   1.2.პროგრამის სწავლის შედეგები

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

   2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

   2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

   2.3. სასწავლო კურსი

   2.4.პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

   2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები

   2.6. სტუდენტების შეფასება

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

   3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

   3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

   4.1. ადამიანური რესურსი

   4.2.აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

4.3. მატერიალური რესურსი

4.4.პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

5.2. გარე ხარისხის შეფასება

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

აკრედიტაციის 4.3 სტანდარტი ამოწმებს პროგრამა უზრუნველყოფილია თუ არა საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას; ბიბლიოთეკაში განთავსებულია თუ არა სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა,რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თუ არა უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად; (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები)

როგორც ჩანს, უმაღლესი განათლების შესახებ კანონი არაპირადაპირ, მაგრამ მაინც აკონტროლებს იმას, რომ უნივერსიტეტები აღჭურვილი იყოს იმ მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რომელიც აუცილებელია, სწავლის პროცესში, რათა სტუდენტები გავიდნენ სწავლის შედეგებზე, რაც თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა სტუდენტების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა სახელმწიფოს მიერ მკაცრად კონტროლირდება.

თავი III: უცხო ქვეყნებში არსებული კანონმდებლობა და სტანდარტები

3.1 ესტონეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების მიმოხილვა

უცხო ქვეყნებზე საუბრისას ჩვენთვის მნიშვნელოვანია პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილება, რადგან, როგორც მოგეხსენებათ საქართველოც პოსტსაბჭოთა ქვეყანაა. დღესდღეობით კი ესტონეთს კარგად გამართული უმაღლესი განათლების სისტემა აქვს, რომელიც აღიარებულია, არაერთი სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომლებიც განათლების საკითხებზე აქტიურად მუშაობენ. ამიტომ, მაგალითად მოვიყვანთ ესტონეთს, განვიხილავთ ამ ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დოკუმენტებს.

ესტონეთში უმაღლესი განათლება იყოფა სამ საფეხურად: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. ამასთანავე არსებობს ბაკალავრის და მაგისტრატურის რამოდენიმე ინტეგრირებული პროგრამა. სტუდენტების უმეტესობა სახელმწიფო უნივერსიტეტებში ირიცხება.

თუ პარალელს გავავლებთ საქართველოსთან, დავინახავთ, რომ ესტონეთის უმაღლესი განათლების შესახებ კანონშიც პირდაპირი ჩანაწერი არ არსებობს სტუდენტების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, თუმცა მსგავსად საქართველოსი, ვხვდებით აკრედიტაციასა და ავტორიზაციაზე რეგულაციებს, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

ესტონეთში უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ რომ გაიაროს ინსტიტუციური აკრედიტაცია (ავტორიზაცია) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. ორგანიზაციული მართვა
   1.1. ზოგადი მართვა
   1.2. პერსონალის მართვა
   1.3. ფინანსური რესურსების მართვა და ინფრასტრუქტურაა

2. სწავლა და სწავლება
   2.1. სწავლა - სწავლების ეფექტურობა და სტუდენტური ორგანოების ინფორმირებულობა
   2.2. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება
   2.3. სტუდენტების აკადემიური წინსვლა და მათი შეფასება
   2.4. სწავლის პროცესის მხარდაჭერა
3. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა
   3.1. კვლევის, განვითარებისა და სხვა შემოქმედებითი სამიანობის ეფექტურობა
   3.2. კვლევის, განვითარებისა და სხვა შემოქმედებითი სამიანობის მხარდაჭერა და რესურსები
   3.3. სტუდენტური კვლევების ზედამხედველობა
4. მომსახურება
   4.1. უმაღლესი საგნამანათლებლო საქმიანობის პოპულარიზაცია და საზოგადოების ჩართულობა
   4.2. საზოგადოებაზე ორიენტირებული სხვა აქტივობები

ჩვენთვის საინტერესოა 1.3. სტანდარტი, რომელიც ამოწმებს ფინანსურ რესურსებსა და ინფრასტრუქტურას. იმისათვის, რომ უსდ-მ დააკმაყოფილოს ეს სტანდარტი, უნივერსიტეტი წარმატებით უნდა ახორციელებდეს უსდ-ს ფინანსური რესურსების მართვას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და იგი უნდა ეფუძვნებოდეს უმაღლესი განათლების მიზნებს შეესაბამებოდეს ეროვნულ პრიორიტეტებს. აგრეთვე, პერსონალის სამუშაო პირობები და სტუდენტების სწავლის, კვლევის, განვითარებისა და სხვა შემოქმედებითი სამიანობის პირობები უნდა აკმაყოფილებდეს უმაღლესი განათლების დაწესებულებების სპეციალობების მოთხოვნებს. ამაში იგულისხმება ბიბლიოთეკების, სტუდიებისა და ლაბორატორიების მოთხოვნებთა შესაბამისობაში ყოფნა. (ესტონეთის ინსტიტუციური აკრედიტაციის შეფასების ანგარიში / Assessment report for institutional accreditation).

ესტონეთის ერთ-ერთმა წამყვანმა უნივერსიტეტმა, ტარტუმ, 2015 წელს გაიარა ავტორიზაცია. ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ტარტუს უნივერსიტეტი სრულიად

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მათ შორის პირველი სტანდარტის მესამე ქვეპუნტქში. ამ ქვესტანდარტის კომენტარებში ექსპერტები წერენ, რომ უნივერსიტეტს აქვს უსაფრთხო და ეფექტური ფინანსური მართვის სისტემა და ის გონივრულად იყენებს ევროკავშირის დაფინანსებას. ტარტუმ, ბოლო 10 წლის განმავალობაში შესანიშნავად იმუშავა, რომ მიეღო ყველა შესაძლო დაფინანსება და განავითარა ინფრასტრუქტურა ძალიან მაღალ დონეზე. ამ ყველაფერს მან მიაღწია გარე გრანტების, ევროკავშირისა და შიდა რესურსების გაერთიანებით. შედეგად უნივერსიტეტს აქვს არამხოლოდ სრულიად ახალი ინფრასტრუქტურა, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თავისი მომავლის განვითარებაში. (ტარტუს ინსტიტუციური აკრედიტაციის შეფასების ანგარიში / Assessment report for institutional accreditation of University of Tartu, http://ekka.archimedes.ee/wp-content/uploads/UT-IA-Report.pdf).

რაც შეეხება აკრედიტაციას, ესტონეთში საგანმანათლებლო პროგრამამ, რომ წარმატებით გაიაროს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. საგანმანათლებლო პროგრამები და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება
2. რესურსები
3. სწავლა-სწავლების მეთოდები
4. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება
5. სტუდენტები

ჩვენთვის საყურადღებო და მნიშვნელოვნია, მე-2 სტანდარტი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამას ფასებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

• რესურსები (სწავლა- სწავლებისთვის შესაფერისი გარემო, საასწავლო მასალები, სწავლებაში დამხმარე საშუალებები და აღჭურვილობა, ფინანსური რესურსები) რამდენად ეხმარება სასწავლო პროგრამის მიზნების მიღწევაში

• არსებობს თუ არა წიგნებისა და სხვა დამხმარე საშუალებების საკმარისი რაოდენობა და არის თუ არა ისინი ხელმისაწვდომი

• რამდენად განვითარებადია რესურსები და ვითარდება თუ არა ისინი პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე

• რესურსების განვითარების მდგრადობა (http://ekka.archimedes.ee/en/univerities-/quality-assessment-study-programme-group/)

როგორც ვხედავთ ესტონეთის უსდ-ს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებში, მსგავსად საქართველოსი, დიდ მნიშვნელობა ენიჭება და სათანადო ყურადღებას უთმობენ შესაბამისი სასწავლო რესურსების კონტროლს, რადგან წარმოუდგენელია სრულფასოვანი ცოდნის მიცემა და სწავლის შედეგებზე გასვლა, შესაბამისი რესურსების უზრუნველყოფისა და ხელმისაწვდომობის გარეშე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ესტონეთის ავტორიზაციის სტანდარტებში ფინანსური რესურსები და ინფრასტრუქტურა გაერთიანებულია ერთ ქვეპუნქტში, განსხვავებით საქართველოს უსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებისგან, რადგანაც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან ფინანსური რესურსები პირდაპირ კავშირშია. რაც უფრო მეტი ფინანსური რესურსია, უფრო მეტის გაკეთება შეიძლება რესურსებისა და ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად.

3.2 გერმანიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების მიმოხილვა

უცხო ქვეყნებზე საუბრისას გარდა პოსტსაბჭოთა გამოცდილებისა, ჩვენთვის აგრეთვე მნიშვნელოვანია ევროპული გამოცდილება, ამიტომ მაგალითად მოვიყვან გერმანიას, რადგან, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამ ქვეყანაში შესაძლებელია მიიღო ხარისხიანი უმაღლესი განათლება. განვიხილავ მისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებს.

ინსტიტუციური აკრედიტაციის (ავტორიზაციის) სტანდარტები ასე გამოიყურება:

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პოლიტიკა
2. საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განვითარება
3. მუდმივი მონიტორინგი და პროგრამების პერიოდული შემოწმება
4. სწავლა, სწავლება და სტუდენტთა შეფასება
5. სტუდენტთა მიღება, წინსვლა აღიარება და სერტიფიცირება

6. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება
7. სასწავლო რესურსები და სტუდენტთა მხარდაჭერა
8. ინფორმაცია

როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესოა მე-7 სტანდარტი. იმისათვის, რომ უმაღლესმა საგნმანათლებლო დაწესებულებამ დააკმაყოფილოს ეს სტანდარტი, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი დაფინანსება სწავლა-სწავლებისთვის და უზრუნველყოს შესაბამისი და ადვილად ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსები, ამასთანავე უსდ უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტების მხარდაჭერას. (გერმანიის ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტები/Standards for Institutional Accreditation by AQAS http://www.aqas.eu/downloads/Criteria_Instit_Accreditation_AQAS.pdf?fbclid=IwAR0XXg79a0Wp23RC7U6XXTRhVhFI2y9iOMp_wgP_AK9FfdNDCyk-wFFTEns)

გერმანიაში კი საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. კურიკულუმის ხარისხი
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
3. სწავლა, სწავლება და სტუდენტთა შეფასება
4. სტუდენტთა მირება, პროგრესი, აღიარება და სერთიფიცირება
5. ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება
6. სასწავლო რესურსები და სტუდენტთა მხარდაჭერა
7. საჯარო ინფორმაცია

მე-6 სტანდარტი გულისხმობს, რომ უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს შესაბამისი აღჭურვილობა და რესურსების ხელმისაწვდომობა, რათა ხელი შეუწყოს სწავლა-სწავლების პროცესს და მხარი დაუჭიროს იმ სტუდენტებს, რომლებიც წარმატებულნი არიან სწავლაში. (გერმანიის პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტები/Criteria for programme accreditation,https://www.aqas.eu/downloads/Criteria%20for%20Programme%20Accreditation.pdf)

როგორც განხილული სტანდარტებიდან ვნახეთ, გერმანიაშიც არანაკლები ყურადღება ეთმობა იმას, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფილი უნდა იყოს კარგად

აღჭურვილი ბიბლიოთეკით და სასწავლო ლიტერატურის საკმარისი მარაგით. განხილული დოკუმენტებიდან გამომდინარე, ცალსახად შეიძლება იმის თქმა, რომ დღეს მსოფლიოში ძალიან დიდი ყურადრება ექცევა იმას, რომ უმაღლესი სკოლა უზრუნველყოფილი იყოს, შესაბამისი მატერიალურ-ტექნილური ბაზით და რესურსებით, რადგან სტუდენტები მაქსომალურად უზრუნველყოფილნი იყვნენ და მათ ჰქონდეთ სწავლისთვის შესაფერისი გარემო.

თავიIV: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია ბიბლიოთეკა, რადგანაც, როგორ წესი ბიბლიოთეკაში უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა ის ლიტერატურა და იმგვარად უნდა იყოს აღჭურვილი, რომ სტუდენტებმა შეძლონ მასალის ადვილად მიღება და დამუშავება. როგორც წესი, ბიბლიოთეკას აქვს თავისი სამუშაო სტანდარტი და დებულება, რომელშიც გაწერილია მისი მიზნები და სამოქმედო გეგმა.

ქართულ საკანონმდებლო სივრცეში არსებობს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, რომელიც არეგულირებს საბიბლიოთეკო საქმიანობის ძირითად საკითხებს, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად. ბიბლიოთეკა მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის ფუნქციაა ეფექტურად გამოიყენოს თავისი რესურსი მოქალაქეების (მკითხველების) მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მისი ძირითადი ამოცანებია: საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება და დაცვა, მკითხველთა მოთხოვნების სრულად და დროულად დაკმაყოფილება, ხოლო მისი პრინციპებია:

„ა) პოლიტიკური და რელიგიური ნეიტრალიტეტი;

ბ) მკითხველთა თანასწორუფლებიანობა;

გ) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და შეუზღუდველობა;

დ) ოპერატიულობა.“[9]

სწორედ ამ პრინციპებისა და ამოცანების შესაბამისად იქმნება ნებისმიერი ბიბლიოთეკის დებულება, შინაგანაწესი თუ სტანდარტი, მათ შორისაასაუნივერსიტეტო ბიბლიოთკებიც.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს საბიბლიოთეკო დებულება, რომელიც შედგება 7 მუხლისაგან. თსუს ბიბლიოთეკის ძირითადი მიზნებია:მოახდინოს საბიბლიოთეკო ფონდის იმგვარად ფორმირება, რომ მან დააკმაყოფილოს საგანმანათლებლო პროგრამებისა და

[9]საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/33046?publication=4

მკითხველის მოთხოვნები; უზრუნველყოს საბიბლიოთეკო ფონდების დაცვა, აღრიცხვა, მეცნიერული დამუშავება და შექმნა საძიებო სისტემა, რომელიც გამოყენებული იქნება პრაქტიკაში; მომხმარებლის (მკითხველის) საჭირო ინფორმაციითა და დოკუმენტებით უზრუნველყოფა; ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და შეუზღუდველობა და ა. შ. (სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება)

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შემადგენლობაში შედის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

„ა) შოთა რუსთაველის სახელობის ცენტრალური სამკითხველო დარბაზი,

ბ) გრიგოლ წერეთლის სახელობის სამკითხველო დარბაზი,

გ)სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის სამკითხველო დარბაზი.

დ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა,

ე) იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკა,

ვ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა,

ზ) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა,

თ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა,

ი) ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,

კ) ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,

ლ) ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,

მ) არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბიბლიოთეკა

ნ) ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,

ო) ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,

პ) თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,

ჟ) ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა დ აეთნოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,

რ) ილია ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,

ს)კავკასიის ალ. თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,

ტ) მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,

უ) მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,

ფ) პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,

ქ) შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,

ღ) პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,

ყ) რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა,

შ)ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ბიბლიოთეკა,

ჩ) მედიცინის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა“[10]

თსუს ოფიციალურ საიტზე არის ბიბლიოთეკი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ყველანაირი ინფორმაცია. ამ გვერდზე გადასვლისთანავე გამოჩნდება ელექტრონული კატალოგის საძიებო ველი, სადაც შესაძლებელია საძიებო სიტყვისა და ფილტრის გამოყენებით სასურველი ინფორმაციის მოძიება. გარდა ელექტრონული კატალოგისა, ბიბლიოთეკის გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბაზები, სასარგებლო ინფორმაცია, ციფრული ბიბლიოთეკა, რესურსები, მომსახურება და ჩვენს შესახებ.

ელექტრონულ კატალოგზე წვდომა შესაძლებელია, როგორც უნივერსიტეტიდან, ასევე უნივერსიტეტს მიღმა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელს აქვს უნივერსიტეტის ელ. ფოსტა.

კატეგორიაში სასარგებლო ინფორმაცია, მომხმარებელი ნახავს სასარგებლო საინფორმაციო რესურსებს, კემბრიჯის სხვადასხვა დარგის საერთაშორისო გამოცდების შესახებ ლინკებს, სასარგებლო ბმულებს იურისტებისთვის და ა.შ.

კატეგორიაში რესურსები, მომხმარებელი ნახავს ისეთ ქვეკატეგორიებს როგორიცაა: ფონდები და კოლექციები, დისერტაციები, წიგნები, გაზეთები, ჟურნალები, ლექსიკონები და აუდიო წიგნები. დისერტაციებს, წიგნებს, გაზეთებს, ჟურნალებს, ლექსიკონებსა და აუდიო წიგნებს აქვთ საძიებო სისტემები, რომელშიც ძებნა შესაძლებელია, არამხოლოდ ქართულ ენაზე, არამედ რუსულ და იგლისურ ენებზე. რაც შეეხება, კოლექციებს, თსუს გააჩნია საკმაოდ მდიდარი კოლექცია, მაგალითად, კიტა აბაშიძის, პეტრე მელიქიშვილის, შალვა ნუცუბიძის, მარიამ ლორთქიფანიძის, აკაკი შანიძის, ანდრია რაზმაძის, გიორგი ახვლედიანის და ამის

[10] სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება

გარდა არაერთი ცნობილი მეცნიერის. ამ მხრივ და არამხოლოდ ამ მიმართულებით თსუს ბიბლიოთეკა ძალიან მდიდარია და მის კუთვნილებაშია არაერთ უცხოური და იშვიათი გამოცემები. (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/e_catalog/)

რაც შეეხება უშუალოდ სოციალურ და პოლიტიკურ მეციერებათა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების ბიბლიოთეკებს, ისინი არსებობენ, როგორც ფიზიკური სახით, ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, სადაც თითოეულ ფაკულტეტზე შეგიძლია მოიძიოთ ინფორმცია, მათ შორის ფაკულტეტის ბიბლიოთეკაზე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდზე არის მხოლოდ ორი ბმული: ბიბლიოთეკა და ფაკულტეტის მიერ გამოცემული წიგნების და სხვა სასწავლო მასალის ელექტრონული ვერსია. პირველ ბმულს გადასვლისას გამოაქვს თსუს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის ბმული, სადაც წვდომა შესაძლებელია, როგორც უნივერსიტეტიდან, ასევე, უნივერსიტეტს მიღმა, აქვე შეგვიძლია ვნახოთ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული წიგნებისა და პერიოდული გამოცემების გარდა, თსუ სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და უნივერსიტეტის სტუმრებს თუ რომელ მდიდარ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე აქვთ წვდომა(EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა).

რაც შეეხება მეორე ბმულს, ფაკულტეტის მიერ გამოცემული წიგნების და სხვა სასწავლო მასალის ელექტრონული ვერსია, აქ მომხმარებელი ნახავს სხვადასხვა წიგნებისა და საკითხავი მასალის ელექტრონულ ვერსიებს. (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, https://www.tsu.ge/ge/faculties/social/library/)

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა ორი ერთეულისაგან შედგება: ერთი მათგანი მოთავსებულია თსუ II კორპუსში, ოთახი 232 ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია და გეოლოგიის მიმართულებების მკითხველთათვის, ხოლო მეორე – თსუ XI (ბიოლოგების) კორპუსში ბიოლოგია, გეოლოგია, მათემატიკა და კომპიუტერული მეცნიერებათა მიმართულებების მკითხველებისათვის. შესაბამისად არსებობს ორი სამკითხველო დარბაზიდა ასევე ორი გამიჯნული წიგნსაცავი.

სამკითხველო დარბაზებში მოთავსებულია ლიტერატურა თავისუფალი დაშვებისა-თვის, თავმოყრილია სასწავლო პროგრამების სილაბუსების მიხედვით შერჩეული ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები. წიგნადი ფონდის დანარჩენი ნაწილი წიგსაცავებშია მოთავსებული.

ბიბლიოთეკაში ასევე დაცულია ჟურნალების პერიოდული გამოცემები ქართულ, რუსულ და ინგლისურენ ებზე, ძირითადად 1975 წლიდან, და მოიცავს ფაკულტეტის თითქმის ყველა მიმართულებას. ჟურნალების გამოწერა დღემდე გრძელდება.

ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლიათ, როგორც თსუს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს, ასევე სხვა გარეშე პირებს.

აქვეა ბმული, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგზე გადაჰყავს მომხმარებელი და განთავსებულია აგრეთვე სადოქტორო ნაშრომები. (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, https://www.tsu.ge/ge/faculties/science/j31udnkuzb_hkrij8/)

შედარების მიზნით მინდა წარმოვადგინო ინფორმაცია საქართველოში ერთ-ერთი დიდი უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საბიბლიოთეკო დებულება.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოადგენს ამავე უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელშიც დაცულია უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდი (ბეჭდური, ელქტრონული, ფოტო და ვიდეო მასალა).

ბიბლიოთეკა ემსახურება ყველას, განურჩევლად ასაკისა, იურიდიული, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეთნიკური და მოქალაქეობრივი სტატუსისა საკუთარი პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ბიბლიოთეკაში არსებული ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება)

ბიბლიოთეკას აქვს საკუთრი ბეჭედი და ვებგვერდი http://library.iliauni.edu.ge/. ამ ბმულზე გადასვლის შემდეგ, კატეგორიაში-ჩვენ შესახებ, თქვენ შეგიძლიათ ნახოთ, ბიბლიოთეკის სტრუქტურა, სტანდარტები, ნორმატიული აქტები, ანგარიშები, პროექტები, გზამკვლევი, ღონისძიებები, ხშირად დასმული კითხვები და კონტაქტები.

შემდგომ კატეგორიაში-სერვისები, მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს შემდეგი მომსახურებით: წიგნის გატანა, წიგნის დაჯავშნა, ჯგუფური მუშაობის ოთახის დაჯავშნა, შეამოწმე დავალიანება, შეცვალე წიგნის დაბრუნების თარიღი, წიგნის შესყიდვა, რიდერის დამზადება, ბიბლიოთეკათშორისი სერვისი, ასლის გადაღება და ბეჭდა, შეეკითხე ბიბლიოთეკარს და ტრენინგები. შემდეგი კატეგორიაა- დარბაზები, სადაც მომხმარებელი ნახავს დარბაზების მუშაობის განრიგს და დარბაზების ჩამონათვალს (ილიას დარბაზი, სულხან-საბა ორბელიანის დარბაზი, ლიტოთახი ლიგამუსი, კომპიუტერული რესურსცენტრი, აღმოსავლეთმცოდნეობის დარბაზი, ავსტრიული ცენტრის დარბაზი, იტალიური ცენტრის დარბაზი, ნიდერლანდური ცენტრის დარბაზი, ბოტანიკის ინსტიტუციის დარბაზი, იაკობ გოგებაშვილის დარბაზი). ჩამოთვლილი დარბაზებიდან ნებისმიერი მათგანის არჩევისას და ლინკზე გადასვლისას თქვენ ნახავთ ამ დარბაზის მუშაობის განრიგს, მისამართს, არსებულ წიგნების ნუსხა და სხვა დეტალურ ინფორმაციას. შემდეგ კატეგორიაში- ფონდები, მომხმარებელს შეუძლია ნახოს შემდეგი ლინკები: ახალი წიგნები, მულტიმედია რესურსი, ავსტრიული ცენტრის კატალოგი, იტალიური ცენტრის კატალოგი, ნიდერლანდური ცენტრის კატალოგი, MERGED CATALOGUE OF GALAXIES. რაც შეეხება კატეგორიას- ელ. ბიბლიოთეკა, მომხმარებელი აქ ნახავს სამეცნიერო ბაზებს, ტექსტურ საცავს, აუდიო საცავს, ვიდეო საცავს, ფოტო არქივს და სასარგებლო ბმულებს. ოლიაუნის ბიბლიოთკას აგრეთვე აქვს ელექტრონიული კატალოგი ველი, სადაც შესაძლებელია საძიებო სიტყვის მეშვეობით წიგნების ძებნა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ გვერდზე მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის (მასში შედის სოციალური და პოლოტიკური მენცნიერებებიც) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ბმულზე გადასვლისას, სადაც გვიჩვენებს დეტალურ ინფორმაციას ამ ფაკულტეტის შესახებ და მათ შორის მისი ბიბლიოთეკის. ამ კონკრეტული ფაკულტეტების ბიბლიოთეკების ბმულბზე გადასვლისას კი გადავყავართ მაი ცენტრალური ბიბლიოთეკის ვებ გვერდდძე და არ გაჩვენებს არანაირ ინფორმაციას კონკრეტულად ამ ფაკულტეტის სასწავლო ლიტერატურის შესახებ. (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიბლიოთეკა,https://library.iliauni.edu.ge/)

როგორც ვხედავთ, თბილისისი სახელმწიფო უნივერსიტეტისგან განსხვავებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგერდზე არ არის განთავსებული ინფორმაცია კონრეტულად ამა თუ იმ ფაკულტეტის ბიბლიოთეკაზე, რაც არცთუ ისე მოსახერხებლია მომხმარებლისთვის.თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ აქვთ საკმაოდ მდიდარი საბიბლიოთეკო რესურსი, განსაკუთრებით თსუს, რომლიც დაახლოვებით 4 მილიონამდე წიგნს ფლობს, მათ შორის იშვით და უნიკალურ გამოცემებს.

შედარების მიზნით აგრეთვე მინდა წარმოგიდგინოთ ინფორმაცია ტარტუს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შესახებ. იგი დაარსდა 1802 წელს. ტარტუს უნივერსიტეტის მიზნებია: ტარტუს უნივერსიტეტის კვლევისა და სწავლისთვის აუცილებელი ინფორმაციის დაგროვების, შენარჩუნებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საჯარო ინფორმაციის შეთავაზება, შექმნა, დაცვა და ხელმისაწვდმობა ესტონურენოვანი პუბლიკაციების სრული კოლექციის; მასალების, რომლებიც გამოქვეყნდა ესტონეთში ან ესტონეთის შესახებ. ტარტუს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის არაერთი საერთაშორისო საბიბლიოთეკო გაერთიანების წევრი. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას რა თქმა უნდა, აქვს თავისი ვებ გვერდი, სადაც შესაძლებელია იხილოთ ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა: მომხმარებლის რეგისტრაცია, წიგნის გატანა, ინფორმაციის განახლება, სასწავლო გარემო, წიგნის თხოვება სხვა ბიბლიოთეკებიდან, დასკანერებული და ბეჭდითი ვერსიების ნახვა, კვლევის მხარდაჭერა, კომპუტერული რესურცენტრი და ა.შ ეს ყველაფერი გაერთიანებულია კატეგორიაში - მომსახურება. შემდეგი კატეგორიაა-მონაცემთა ბაზა, სადაც მომხმარებელი იხილავს ელექტრონულ ჟურნალებს, ელტრონულ წიგნებს, სამეცნიერო ვებგვერდებს და უამრავ ელექრონულ ბაზებს, რომლებში შესვლაც შესაძლებელია, მხოლოდ მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეყვანის შემდეგ. ამის შემდეგ მოდის კატეგორია - ღია მეცნიერება, რომლის მიზანია კვლევის პროცესი გახადოს ღია, გლობალური, უფრო ეფექტური და გამჭირვალე. გაზარდოს ურთიერთთანამშრომლობა მკვლევარებს შორის და მეცნიერების სხვადასხვა დარგებს შორის, ხელიშეუწყოს ინოვაციებს და ზოგადა სარგებელი მოუტანოს საზოგადოებას. ეს კატეგორია მომხმარებელ სთვაზობს სხვადასხვა ბაზების ლინკებს, მაგალითად: გვერდი, სადაც

განთავსებულია კვლევის შედეგები და რომელიც უფასოა, კვლევის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაციის ნახვა, ინფორმაციის გაზიარება მეთოდების, ხერხებისა და ანალიზის შესახებ, რომლებიც კვლევაშია გამოყენებული და ა.შ.ამას გარდა, საიტზე არის კატეგორია - ჩვენს შესახებ, სადაც მოცემულია მოკლე ისტორია ბიბლიოთეკის შესახებ და განთვსებულია იმ ბიბლიოთეკების ჩამონათვალი, რომლებთანაც თანამშრომლობს ტარტუს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკას აქვს თავისი საკონფერენციო დარბაზი,რომლის შესახებაც ინფორმაცია წარმდგენილია აგრეთვე მის საიტზე. საკონფერენციოში დაახლოვებით 200-მდე ადგილია. ბოლო კატეგორიაა- ელექტრონული წიგნები, სადაც განთავსებულია ელ. ვერსიები, რომლის შესყიდვაც შეუძლია სტუდენტს. ელ. წიგნები დაყოფილია თემების მიხედვით კატეგორიებად. მისი მიღება სტუდენტს შეუძლია 7 დღის ვადაში, მას შემდეგ რაც თანხას გადარიცხავს უნივერსიტეტის ანგარიშზე.(ტარტუს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, https://utlib.ut.ee/en)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ტარტუს უნივერსიტეტების საბიბლიოთეკო მომსახურება და ვებგვერდები თითქმის მსგავსია და ერთნაირი პრინციპიც არის შექმნილი, თუმცა არსებობს ერთი, ჩემი აზრით მნიშვნელოვანი განსხვავება. ტარტუს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს მომსახურება, რომლის მიხედვიტაც სტუდენტს შეუძლია წიგნის ელექტრონული ვერსიის შესყიდვა, გარკვეული პროცედურების გავლის შემდეგ.

ჩემი აზრით, ეს ძალიან კარგი პრაქტიკა იქნება საქართველოსთვისაც. იმ შეთხვევაში თუ სტუდენტს სურს სახლში იმუშაოს ან უბრალოდ პირად კომპიუტერში ჰქონდეს ესა თუ ის სახელმძღვანელო, ამას მარტივად შეძლებს ინფორმაციის მოპოვებას და რაც მთავარია, მას არ დასჭირდება სხვა საიტებზე ძებნა და დროის კარგვა.

კვლევითი ნაწილი

კვლევის ზოგადი აღწერა, დიზაინი და მეთოდოლოდია

კვლევა კონფიდენციალურია, რაც გულისხმობს იმას, რომ შედეგები წარმოდგენილი იქნება შეჯერებული სახით, პროცენტულ მაჩვენებელში და რესპოდენტების შეისახებ რაიმე სახის მაიდენტიფიცირებული მონაცემები კვლევის განხილვისას არ იქნება დაფიქსირებული.

კვლევის ჰიპოთეზა: თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს აქვთ სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის პრობლემა. ამის რამოდენიმე მიზეზი არსებობს: ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირე და უნივერსიტეტის ბილიოთეკაში დამხმარე სასწავლო ლიტერეტურის ნაკლებობა.

კვლევის პროცესში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. სულ გამოკითხულია 140 რესპოდენტი.

გამოკითხულ რესპონდენტთა ასაკი 18-დან 25 წლამდე მერყეობს.



დიაგრამა №1

რესპოდენტებად შევარჩიეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ბაკალავრიატის სტუდენტები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა 54.3% - მა (76 სტუდენტი) და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა 45.7% - მა (64 სტუდენტი)



დიაგრამა №2

სქესი -გამოკითხულთა 65.7% (92 სტუდენტი) მდედრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო 34.3% (48 სტუდენტი) მამრობითი სქესის.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს ფიზიკის , ბიოლოგიის, ქიმიის, გეოგრაფიის, მათემატიკის, ეკოლოგიის, კომპიუტერული მეცნიერებების, პოლიტიკური მეცნიერებების, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების, სოციოლოგიის, გეოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების, საზოგადოებრივი გეოგრაფიისა და სოციალური მუშაობის სტუდენტებმა. დიაგრამაზე კი შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება:



დიაგრამა №3

რესპოდენტების 40% არის პირველკურსელი, 22.9% არის მეორეკურსელი, 17.9% არის მესამეკურსელი და 19.3% არის მეოთხეკურსელი. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა 40% პირველკურსელია კვლევა ჩატარებულია სასწავლო წლის ბოლოს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ერთი წლის განმავლობაში გაიარეს საგნების ის რაოდენობა, რაც შესაძლებლობას აძლევთ შეაფასონ თავიაანთ სპეციალობაზე, რა მდგომარეობაა.

1. **არის თქვენი სპეციალობისთვის სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო ლიტერატურა (სახელმძღვანელოები, რიდერები, ქსეროქსები, ელ. ვერსიები და ა.შ.) ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი?**

ამ კითხვაზე პასუხი გასცა სულ 139 რესპოდენტმა, მათგან 69.1%- მა (96 სტუდენტი) განაცხადა, რომ დიახ არის ხელმისაწვდომი, 28.8%- მა (40 სტუდენტმა) განაცხადა, რომ ნაწილობრივ არის ხელმისაწვდომი, ხოლო 2.2%- მა (3 სტუდენტმა) თქვა, რომ არ არის ხელმისაწვდომი. როგორც ვხედავთ, ძირითადი საასწავლო ლიტერატურა ხელმისაწვდომია, რაც თავისთავად მისასალმებელია ფაქტია, თუ გავითვალისწინებთ სახელმძრვანელოების როლს და განსაკუთრებით მშობლიურ ენაზე, სწავლა-სწავლების პროცესში. ეს მონაცემები კი დიაგრამაზე ასე გამოისახება:



დიაგრამა №4

2. **არის თქვენი სპეციალობისთვის სილაბუსებით გათვალისწინებული დამხმარე სასწავლო ლიტერატურა (სახელმძღვანელოები, რიდერები, ქსეროქსები,ელ. ვერსიები და ა.შ.) ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი?**

ამ კითხვაზე პასუხი გასცა სულ 139 რესპოდენტმა, მათგან 33.1% - მა (46 სტუდენტი) განაცხადა, რომ ხელმისაწვდომია, 58.3%- მა (81 სტუდენტი) განაცხადა რომ ნაწილობრივ ხელმისაწვდომია, ხოლო 8.6%-მა (12 სტუდენტი) განაცხადა, რომ არ არის ხელმისაწვდომი. განსხვავებით ძირითადი სასწავლო ლიტერატურისგან, ამ შემ\ტხვევაში განსხვაგებული მდგომარეობაა, რადგან სტუდენტები დამხმარე სასწავლო ლიტერატურით ყოველთვის არ არიან უზრუნველყოფილნი და ხშირ შემთხვევაში ისინი აწყდებიან ხელმისაწვდომობის პრობლემას, სხვადასხვა მიზეზის გამო.



დიაგრამა №5

3. სავალდებულო და დამხმარე სასწავლო ლიტერატურა ძირითადად წარმოდგენილია:

რესპოდენტებს ამ კითხვაზე შეეძლოთ რამოდენიმე პასუხის არჩევა, პასუხი გასცა 140-ვე მონაწილემ და ხმები განაწილდა შემდეგნაირად: სახელმძღვანელოების სახით - 21.4% (30 სტუდენტი), ქსეროქსების სახით - 38.6% (54 სტუდენტი), რიდერების/კონსპექტების სახით - 19.3% (27 სტუდენტი), ელ. ვერსიების სახით - 57.1% (80 სტუდენტი), ყველა - 30% (42 სტუდენტი). დღესდღეობით არამხოლოდ ამ კონკრეტულ ფაკულტეტებზე, ყველაზე მეტად სახელმძღვანელოები გავრცელებული ელექტრონული ვერსიების სახით. კითხვარი იძლეოდა ვერბალური კომენტარების დატოვების შესაძლებლობასაც კითხვარის ბოლოს, სწორედ ამ კომენტარებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუდენტთა უმეტესობა მიესალმება ელექტრონულ სასწავლო მასალას, გამომდინარე მისი პრაქტიკული ხასიათიდან. უფრო მეტიც, რესპოდენტების ნაწილი სურვილს გამოთქვამს, რომ რაც არ არის შეიქმნას იმ წიგნების ელექტრონული ვერსიებიც. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები დიაგრამაზე ასე გამოიყურება:



დიაგრამა №6

4. **საშუალოდ, რამდენჯერ დადიხართ თქვენი ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში?**

კითხვას სულ უპასუხა 140 რესპოდენტმა, საიდანაც 25% - მა (35) განაცხადა, რომ არც ერთხელ არ დადის, 15% (21) მხოლოდ ერთხელ დადის, 15.7% (22) - კვირაში 2-ჯერ, 7.1% (10) - კვირაში 3-ჯერ, 17.1% (24) - თვეში ერთხელ, თვეში 2-ჯერ დადის 5.7% (8 სტუდენტი), ხოლო თვეში 3-ჯერ 7.1% (10 სტუდენტი) . შედგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკმაოდ ბევრი ადამიანი სარგებლობს ფაკულტეტის/ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მათ ბიბლიოთეკას გააჩნია სამარისი რესურსი.

5. **თქვენი ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სრულად არის წარმოდგენილი ძირითადი სასწავლო ლიტერატურა?**

ამ კითხვაზე პასუხი გასცა 132 სტუდენტმა. მათ მიერ გაცემული პასუხები შემდგნაირად განაწილდა: რესპოდენტების 68.9% (91 სტუდენტი) ამბობს, რომ სრულად არის წარმოდგენილი ძირითადი სასწავლო ლიტერატურა, ხოლო 31.1% (41 სტუდენტი) ამბობს , რომ არ არის სამარისი. შედეგები დიაგრამაზე ასე გამოიყურება:



დიაგრამა №7

6. **თქვენი ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სრულად არის წარმოდგენილი დამატებითი სასწავლო ლიტერატურა?**

ამ კითხვაზე პასუხი გასცა 130 სტუდენტმა. მათ მიერ გაცემული პასუხები შემდგნაირად განაწილდა: სტუდენტების ნახევარზე მეტი ამბობს, რომ დამატებითი სასწავლო ლიტერატურა არ არის წარმოდგენილი საკმარისი რაოდენობით. დამატებითი სასწავლი ლიტერატურა ისევე მნიშვნელოვანია, ჩემი აზრით, როგორც ძირითადი, რადგან იგი სტუდენტებს ეხმარება გაიღრმავონ უკვე არსებული ცოდნა, გაეცნონ სხვადახვა მეცნიერების მოსაზრებებსა და თეორიებს.



დიაგრამა №8

7. **ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა საკმარისია თუ მხოლოდ თითო ეგზემპლარით არის წარმოდგენილი?**

ამ კითხვას პასუხი გასცა 131-მა სტუდენტმა, მათი პასუხები კი განაწილდა შემდეგნაირად: 65.6% (86 სტუდენტი) აცხადებს, რომ ხშირ შემთხვევაში სამარისია, რაც თავისთავად კარგია, მხოლოდ 34.4% (45 სტუდენტი) ამბობს, რომ არასაკმარისია.



დიაგრამა №9

8. **რამდენად ხშირად სარგებლობთ საჯარო ბიბლიოთეკით?**

ამ შეკითხვას უპასუხა 140-ვე რესპოდენტმა და მათი პასუხები ასეთია: არ სარგებლობს - 66.4% (93), კვირაში ერთხელ - 4.3% (6), კვირაში 2-ჯერ - 3.6% (5), თვეში ერთხელ - 19.3% (27), თვეში 2-ჯერ - 2.1.% (3), თვეში 3-ჯერ - 4.3% (6). როგორც ვხედავთ, სტუდენტებს არ სჭირდებათ საჯარო ბილიოთეკის მომსახურება თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ძირითადი სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფილები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ. ეს შედეგები კი შეჯამებულად ასე გამოიყურება:



დიაგრამა №10

9. საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებს ძირითადად მაშინ ვიყენებ, როცა:

ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა მხოლოდ იმ რესპოდენტებს, რომლებმაც წინა კითხვაში დააფიქსირეს პასუხი, რომ სარგებლობს საჯარო ბიბლიოთეკის მომსახურებით, შესაბამისად ამ კითხვას პასუხი გასცა 47-მა სტუდენტმა, პასუხები კი ასე გამოიყურება:



დიაგრამა №11

10. რამდენად ხშირად სარგებლობთ სხვა უნივერსიტეტების საბიბლიოთეკო ფონდებით?

ამ კითხვას პასუხი გასცა 138 რესპოდენტმა, მათი პასუხები კი განაწილდა შემდეგნაირად: გამოკითხული სტუდენტების 87.7% (121) საერთოდ არ იყენებს სხვა უნივერსიტეტების საბიბლიოთეკო ფონდებს, 7% (12) - თვეში ერთხელ, 0.7% (1) იყენებს თვეში 2-ჯერ, 1.4% (2) იყენებს თვეში 3-ჯერ და კვირაში ერთხელ- 1.4% (2) ეს მონაცემები შეჯამებული სახით, რომ წარმოვადგინოთ დიაგრამაზე განაწილდება შემდეგნაირად:



დიაგრამა №12

11. სხვა უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდებს ძირითადად მაშინ ვიყენებ, როცა:

ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა მხოლოდ იმ რესპოდენტებს, რომლებმაც წინა კითხვაში დააფიქსირეს პასუხი, რომ სარგებლობს სხვა უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდებით, შესაბამისად ამ კითხვას პასუხი გასცა 17 სტუდენტმა და შედეგები გამოიყურება შემდეგნაირად:



დიაგრამა №13

12. თქვენი სპეციალობის საგნების (სავალდებულო და არჩევითი) სილაბუსებში რა რაოდენობის ძირითადი ლიტერატურაა მითითებული?

ამ კითხვას პასუხი გასცა 136 სტუდენტმა. მათი პასუხები გამოიყურება შემდეგნაირად:



დიაგრამა №14

13. თქვენი სპეციალობის საგნების (სავალდებულო და არჩევითი) სილაბუსებში რა რაოდენობის დამხმარე ლიტერატურაა მითითებული?

ამ კითხვას პასუხი გასცა 135 სტუდენტმა. მათი პასუხები გამოიყურება შემდეგნაირად: მხოლოდ ერთი- 4.4% (6), 1-დან 5-მდე - 72.6% (98) და 5-ზე მეტი - 23% (31)



დიაგრამა №15

14. რამდენად ხშირად გიწევთ უცხოური სასწავლო ლიტერატურის დამუშავება

ამ შეკითხვას პასუხი გასცა სულ 139 მა სტუდენტმა. მათგან 35.3% (49) თქვა, რომ არასდროს უწევს უხცოური ლიტერატურის დამუშავება, 15.8%(22) განაცხადა, რომ ყოველთვის ამუშავებენ უცხოურ ლიტერატურას, 12.9% (18) თქვა, რომ კვირაში მხოლოდ ერთხელ უწევთ, 6.5% (9)- კვირაში 2-ჯერ, 0.7% (1) - კვირაში 3-ჯერ, 19,4% (27) - თვეში ერთხელ, 6.5% (9) - თვეში 2-ჯერ და 2.9% (4)- თვეში 3-ჯერ. ეს შედეგები შეჯამებულად რომ წარმოვადგინოთ დიაგრამის სახით ასე გამოიყურება:



დიაგრამა №16

15. ყველაზე ხშირად რომელ ენაზე გიწევთ სასწავლო მასალის დამუშავება (ქართულის გარდა)?

ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა მხოლოდ იმ რესპოდენტებს, რომლებმაც წინა კითხვაში დააფიქსირეს პასუხი, რომ მათ უწევთ უცხოური ლიტერატურის დამუშავება, აქედან გამომდინარე ამ კითხვას პასუხი გასცა სულ 91 სტუდენტმა, საიდანაც 95.6% (87) აცხადებს, რომ ლიტერატურის დამუშავება ძირიტადად უწევს ინგლისურ ენაზე, 3.3% (3) ამბობს, რომ რუსულ ენაზე და 1.1% (1) ამბობს, რომ ორივე (რუსულ და ინგლისურ) ენაზე.



დიაგრამა №17

16. რამდენად მარტივია თქვენთვის უცხოური სასწავლო ლიტერატურის დამუშავება?

ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა მხოლოდ იმ რესპოდენტებს, რომლებმაც წინა კითხვაში დააფიქსირეს პასუხი, რომ მათ უწევთ უცხოური ლიტერატურის დამუშავება, აქედან გამომდინარე ამ კითხვას პასუხი გასცა სულ 91 სტუდენტმა,საიდანაც 45.1% (41) განაცხადა, რომ რთულია, .4.4% (4) განაცხადა, რომ ძალიან რთულია, 41.8% -ისთვის (38 სტუდენტი) მარტივია და 8.8%-ისთვის (8 სტუდენტი) ძალიან მარტივია. ეს მონაცემები დიაგრამაზე გამოიყურება შემდეგნაირად:



დიაგრამა №18

17. რომელ ენას (ენებს) ფლობთ მინიმუ B1 დონეზე?

ამ კითხვას პასუხი გასცა 139 რესპოდენტმა. გამოკითხულთა უმრავლესობა ფლობს ინგლისურ ენა, მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი რუსულის, გერმანულისა და ფრანგულის მცოდნეები. გამოკითხულთაგან მხოლოდ ერთი რესპოდენტი აღმოჩნდა ისეთი ვინც არც ერთ ენას არ ფლობს. შედეგები ასე გამოიყურება:



დიაგრამა №19

18. როგორ ფიქრობთ, ზოგადად, არის თუ არა თქვენი სპეციალობის სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომი?

ამ კითხვას პასუხი გასცა რესპოდენტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ. გამოკითხულთა 52.9% (74) ამბობს, რომ მათი სპეციალობისთვის სახელმძღვანელოები ნაწილობრივ არის ხელმისაწვდომი, 45% (63) ამბობს, რომ ხელმისაწვდომია და 2.1% (3) აცხადებს, რომ არ არის ხელმისაწვდმი.



დიაგრამა №20

19. როგორ ფიქრობთ, რა არის ის ძირითადი მიზეზი (მიზეზები), რის გამოც სახელმძღვანელო ლიტერატურა არ არის, ან ნაკლებად ხელმისაწვდომია?

ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა მხოლოდ იმ რესპოდენტებს, რომლებმაც წინა კითხვაში დააფიქსირეს პასუხი, ნაწილობრივ ხელმისაწვდომია და არ არის ხელმისაწვდომი. სულ პასუხი გასცა 48 სტუდენტმა. ამ კითხვაზე შესაზლებელი იყო, რომ რესპოდენტს დაეტოვებინა ვერბალური კომენტარი. პასუხებს თუ გადავხდავთ გამოიკვეთება რამოდენიმე ძირითადი პრობლემა, რომელიც სტუდენტების უმრავლესობას აწუხებს. ნომერ პირველ პრობლემად დასახელდა უცხოენოვანი (ძირითადად ინგლისურენოვანი) სასწავლო ლიტერატურა, ამის შემდეგ მოდის წიგნების ტირაჟი და იმ სახელმძღვანელოების ხელმიუწვდომლობა, რომლებით ადრე იბეჭდებოდა, მაგრამ ახლა აღარ გამოდის და მხოლოდ რამოდენიმე ეგზემპლარიღაა შემორჩენილი, ბევრმა სტუდენტმა ყურადღება გაამახვილა, რომ სახელმძღვანელოებს მაღალი ფასი აქვთ. მათი პასუხები დეტალურად, რომ წარმოვადგინოთ ასეთია:

„არაა ქართულ ენაზე ნათარგმნი“

„მე ვფიქრობ, რომ კარგი სახელმძღვანელოები საკმაოდ ძვირადღირებულია და ამიტომ წიგნებით მოვაჭრეებსა და ბიბლიოთეკებს "არ აწყობთ" ასეთი სახელმძღვანელოების შეძენა, რაც რა თქმა უნდა სრულიად მიუღებელია.“

„ძველი სახელმძღვანელოებით ვსარგებლობთ ძირითადად და ეტყობა აღარ არის შემორჩენილი ეგზემპლარები“

„არ ხდება თარგამანი, ან უცხოური ლიტერატურაც ფასიანის,შესაბამისად არაა ხელმისაწვდომი“

„საქართველოში მოთხოვნაა ძალიან პატარა, შესაბამისად არც თარგმნაზე და არც ორიგინალ ენაზე სახელმძღვანელოების შემოტანაზე თავს არავინ იწუხებს.“

„დიდი მოთხოვნა“

„კვალიფიციური და გამოცდილი თარჯიმნის სინაკლეზე“

„ჩემი აზრით ნაკლებად ხელმისაწვდომია, რადგან არის წიგნები, რომლებიც ლექტორებს აქვთ თითო ეგზემპლარი, ისიც სხვისი ნაჩუქარი ადრეულ დროში და ახლა აღარ მოიპოვება, თუ ვინმეს სახლში არ აქვს შემორჩენილი“

„არსებობს ქსეროქსები, რომლებიც სხვა სახელმძღვანელოებზე ხელმისაწვდომია“

„ძირითადად იწერება სტატიები (უფრო მეტად ინგლისურ ენაზე) რის გამოც გვიწევს იქიდან თარგმნა, ან რატომღაც ფიქრობენ, რომ ძველი ლიტერატურა სრულიად საკმარისია და არ წერენ“

„სახელმძღვანელოების მაღალი ფასი“

„სახელმძრვანელოების მაღალი ფასი, ჩემი მიმართულების შემთხვევაში“

„სტუდენტებზე არ არის მორგებული მასალა და არ ითვალისწინებენ მათ ინტერესებს“

„ალბათ ის რომ ძალიან ცოტა ეგზემპლარია შემონახული და ნაკლებად ზრუნავენ ამაზე“

„ფაკულტეტი ნაკლებად იყო ცნობილი ჩვენს ქვეყანაში“

„ზედმეტად მაღალი ფასებია ქართული რეალობისთვის“

„ალბათ ფინანსური მდგომარეობა“

„არ თარგმნიან“

„არ თარგმნიან, სავარაუდოდ დროისა და ფინანსების გამო“

„თანხის პრობლემაა ალბათ“

„შესაძლოა იყოს ნაკლებად მოთხოვნადობა“

„პირველ რიგში სახელმძღვანელოების სიმცირეა, მეორე რიგში ახალი წიგნების დაბეჭვდა ნაკლებად ხდება“

„არ გამოდის დიდი რაოდენობის ტირაჟი შესაბამისად ღირებულებაც მაღალია“

„ქართულ ენაზე არ არის თარგმნილი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოები“

„ქართულ ენაზე არ არის ნათარგმნი ნაწილი სავალდებულო და უმრავლესობა - დამხმარე ლიტერატურა, ხოლო, ამ სახელმძღვანელოების დაბალი ტირჟი კიდევ ცალკე პრობლემაა, რაც იმით გამოიხატება, რომ, ხშირად წიგნების მაღაზიებშიც კი ვერ მოიძიებ მათ.“

„ძირითადად ონლაინ წიგნებია და ისიც უცხო ენაზე“

„არ დაწერილა ჯერ ქართულ ენაზე კაი ლიტერატურა“

„ლექტორების სიზარმაცე. თუ საგანს ასწავლის ვალდებული ხარ სახელმძღვანელო გქონდეს“

„არ არის ნათარგმნი“

„ქართულად არ არის ბევრი რაღაც“

„ზოგიერთი წიგნი მხოლოდ ლექტორებსღა აქვთ შემორჩენილი“

„ქართულ ენაზე ცოტა მასალაა, ძირითადად უცხო ენაზე“

„ქართულად არ არის, რაც არის ძვირია“

„ქართულად ახალი რაღაცეები არ არის, ძირითადად ინგლისურადაა და სახელმძღვანელოს აქვს მაღალი ფასები“

„სახელმძღვანელოები ძვირია და თან აღარც იყიდება მაღაზიებში უმეტესობა“

„თანამედროვე ლიტერატურა არ იბეჭდება ქართულ ენაზე“

„სახელმძღვანელოების არ არსებობა ბიბლიოთეკაში“

„უნივერსიტეტს არ აქვს წიგნის სამარისი ფონდი, რომ უზრუნველყოს სტუდენტები სახელმძღვანელოებით“

„ახალი წიგნების არ არსებობა“

„მიზეზი ისაა, რომ არ ხდება წიგნის ფონდის განახლება, არ იქმნება ახალი წიგნები, რის გამოც გვიჭირს მასალის მოძიება“

„მოძველებული სახელმძღვანელოებია“

„თანამედროვე ლიტერატურა არაა ქართულ ენაზე, რაც არის ძვირია“

„ქართულად არაა თანამედროვე ლიტერატურა“

„თანამედროვე სახელძღვანელოები არ არის ქართულ ენაზე, ამასთანავე რაც იბეჭდება გამოდის მცირე ტირაჟით და ღირს ძვირი“

„ახალი სახელმძღვანელოები თითქმის არ იბეჭდება“

„როგორც წესი სახელმძღვანელოები ძალიან ძვირია“

„მაღალი ფასი და ქართულ ენაზე წიგნების სიმწირე“

„ერთერთი პრობლემა ისაა, რომ ზოგიერთი წიგნი ძალიან ადრეა გამოცემული და ლექტორებსღაა აქვთ შემორჩენილი თითო ცალი“

20. როგორ წარმოგიდეგნიათ ამ პრობლემის მოგვარება?

ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა მხოლოდ იმ რესპოდენტებს, რომლებმაც წინა კითხვაში დააფიქსირეს პასუხი, ნაწილობრივ ხელმისაწვდომია და არ არის ხელმისაწვდომი. სულ პასუხი გასცა 48 სტუდენტმა, მათ პასუხებს თუ გადავხედავთ ისინი პრობლემების გადაწყვეტის შემდეგ გზებს ხედავენ :

1. თარგმნა

2. ახალი სახელმძღვანელოების დაბეჭდვა
3. უნივერსიტეტმა/ბიბლიოთეკამ შეიძინოს სახელმძღვანელოები

როდესაც სტუდენტები საუბრობდნენ თარგმანზე, მათი ერთი ნაწილი მოიაზრებდა, რომ თარგმანი უნდა მოხდეს საგნის ლექტორის მიერ, ხოლო მეორე ნაწილი ფიქრობდა, რომ უნდა შეიქმნას სპეციალური ფონდი, რომელიც თარგმნიდა სასწავლო ლიტერატურას. სამწუხაროდ, არავის არ უთქვამს, რომ პრობლემას ეფექტურად გადაწყვეტდა ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება და ინგლისური ენის კარგად ცოდნა, რადგან ყოველდღიურად იმდენი ახალი სახელმძღვანელო გამოდის ამა თუ იმ სფეროში, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ყველაფრის თარგმნა. მათი პასუხები დეტალურად ქვემოთაა მოცემული:

„თარგმნა“

„ფიქრობ უნდა შეიქმნას კონკრეტული დაწესებულება, რომელიც ორიენტირებული იქნება მსგავსი უცხოენოვანი და ქართულენოვანი წიგნების შეძენისა და ერთ სივრცეში მოქცევაზე.“

„ძველი წიგნების ნაცვლად ახლებით ვისწავლოთ, ანუ დიდი ყურადღება იყოს მიქცეული იმ წიგნების მიმართ, რომელიც ხელმისაწვდომია და ყველა სტუდენტს შეეძლება სარგებლობა“

„ალბათ წამახალისებელი გრანტით ან რამე მსგავსით რომ მოხდეს მთარგმნელების დაინტერესება და საკვანძო სახელმძღვანელოების გადმოთარგმნა ქართულად.“

„უფრო დიდი ტირაჟით გამოვიდეს“

„ჩვენივე მიმართულების ლექტორებმა თარგმნონ“

„1. წიგნების ქსერო ასლების გადაღება 2. ბიბლიოთეკებში დამატება 3. სხვა მასალით ჩანაცვლება“

„სიიაფე“

„ქართულად იწერებოდეს, ითარგმნებოდეს ან ხდებოდეს ძველის განახლება“

„უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი ხარჯების გამოყოფა და ბიბლიოთეკისთვის სახელმძღვანელოების დამატება“

„ჩემი აზრით, უნივერსიტეტმა უნდა მოიძიოს სხვადასხვა ფონდები და გრანტები, დაფინანსება და მიღებული თანხა სრულად მოახმაროს წიგნების შეძენასა და თარგმნას“

„ისეთი მასალის მიწოდება, რომელიც მოიპოვება, თარგმნა შესაძლებელია“

„მეტი ეგზემპლარების გამოცემით შესაძლოა მოგვარდეს“

„სახელმძღვანელოების ტირაჟი გაიზარდოს“

„მეტი ფინანსების გაღებაა საჭირო უნივერისტეტების მხრიდან სახელმძღვანელოებზე, აგრეთვე სასურველია შეიქმნას ამ წიგნების ელექტრონულო ვერსიები“

„უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს ამ ყოველივეზე და უზრუნველყოს წიგნების ბევრი ეგზემპლარი, რათა სტუდენტებმა იოლად შეძლონ მისი მოპოვება“

„იმუშაონ უფრო მეტი ლიტერაატურის თარგმნაზე“

„დაფინანსება და თარგმნა, ახალი წიგნებისა და საინფორმაციო წყაროების მოძიება“

„ჩემი აზრით საჭიროა თანხების გამოყოფა“

„ვფიქრობ ,საჭიროა ყველა წიგნის ელექტრონული ვერსიის გაკეთება“

„დაიბეჭდოს უფრო მეტი სახელმძღვანელო“

„საჭიროა მეტი ტირაჟით დაბეჭვდვა“

„სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს სახელმძღვანელოების თარგმნა“

„1.ბიბიოთეკამ უნდა მოიმარაგოს, შეძლებისდაგვარად,საჭირო წიგნები და შემდეგ, ხომ შეიძლება ასლები გააკეთონ ან ელ.ვერსიებად აქციონ? ეს არ ვიცი, რამდენად შეიძლება ან კანონიერია, მაგრამ , თუ აქვთ ამის უფლება, ყველაზე მარტივი და კარგი გამოსავალი იქნებოდა. 2.შესაძლოა ცალკე ჯგუფი შეიქმნას უნივერსიტეტში, რომელშიც გაწევრიანებული ადამიანები მოიძიებენ, საჭიროების შემთხვევაში თარგმნიან და ელ.ვერსიებად აქცევენ ლიტერატურას 3. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს და დაიცვას გელას ჯანმრთელობა, რადგან მასზე კარგი და კომპეტენტური წყარო ლიტერტურისა არ მოიპოვება მთელ თსუ-ში <3 :დდ“

„ითარგმნოს ქართულად ის სახელმძღვანელოები, რომლებიც მითითებულია სილაბუსში და ჩვენ ის გვჭირდება.. ყველამ არ იცის ინგლისური იმ დონეზე რომ სრულყოფილად თარგმნოს“

„მეტი ვალდებულებები ლექტორებს. ათ წიგნს რომ გეტყვის და უნდა ისწავლო სათითაოდ ყველა წიგნიდან. ნება იბოძონ და დაივალდებულონ თავი გააკეთონ თავისი საგნის სახელმძღვანელოების ელ ვერსიები მაინც.“

„თარგმნა რომ ხდებოდეს ახალი გამოცემების“

„დაიბეჭდოს ახალი წიგნები“

„თარგმნონ ლექტორებმა ის წიგნები და სტატიები, რომელიც აუცილებელია“

„1. თარგმნონ 2. გამოიყოს თანხები და შეისყიდონ ან დაბეჭდონ ბევრი წიგნები“

„თარგმნონ ლექტორებმა ან კონსპექტები გააკეთონ“

„უნივერსიტეტმა შეიძინოს სახელომძღვანელოები ან გამოუშვან მაღალი ტირაჟით“

„თარგმნონ და დაბეჭდონ“

„ბიბლიოთეკის ფონდის სახელმძღვანელოებით შევსება“

„საბიბლიოთეკო ფონდის შევსება“

„ქართულად თარგმნა სახელმძღვანელოების და ახალი წიგნებით ბიბლიოთეკის შევსება“

„უნდა შეიქმნას წიგნები, რომლებშიც ახალი ინფორმაცია იქნება შეტანილი“

„საჭიროა მათი განახლება“

„უნდა შეისყიდოს უნივერსიტეტმა“

„უნივერსიტეტმა ათარგმნინოს ან ლექტორებმა გააკეთონ ქართულად კონსპექტები“

„უნივერსიტეტმა თარგმნოს ახალი გამოცემები და უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა“

„დაიბეჭდოს ახალი წიგნები“

„უნივერსიტეტმა შეისყიდოს უფრო მეტი ეგზემპლარი“

„უნივერსიტეტმა უნდა შექმნას ფონდი, რომელიც წიგნების თარგნმას და შეძენას დააფინანსებს“

„ქსეროქსები ან ელ ვერსიების გაკეთება და ამით ბიბლიოთეკის შევსება, ან სხვა მასალით ჩანაცვლება“

დასკვნები

- ✓ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოწვევების მიუხედავად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ასევე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ძირითადი საწავლო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე.
- ✓ განსხვავებით ძირითადი სასწავლო ლიტერატურისგან, დამატებითი სასწავლო ლიტერატურა ნაწილობრივ არის ქართულ ენაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ პერიოდულად სტუდენტებს უწევთ უცხოური ლიტერატურის დამუშავება.
- ✓ სტუდენტები აქტიურად იყენებენ უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ბიბლიოთეკას, რაც ნიშნავს იმას, რომ საბიბლიოთეკო რესურსი მდიდარია და მეტ-ნაკლებად საკმარისი რაოდენობით არის წარმოდგენილი.
- ✓ გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა არ სარგებლობს საჯარო ბიბლიოთეკითა და სხვა უნივერსიტეტების საბიბლიოთეკო ფონდებით და ისინი, ვინც სარგებლობენ უმეტეს შემთხვევაში იყენებენ რეფერატებისა და პრეზენტაციებისთვის დამატებითი ინფორმაციების მოსაძიებლად და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე.
- ✓ სტუდენტების მცირე ნაწილი აცხადებს, რომ საჯარო ბიბლიოთეკისა და სხვა უნივერსიტეტების საბიბლიოთეკო ფონდებით იმიტომ სარგებლობენ, რომ მათ სჭირდებათ ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სახელმძღვანელოებით და მათ არ სჭირდებათ გარე რესურსების მოძიება.
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია, სტუდენტეს მაინც უწევთ უცხოური სასწავლო ლიტერატურის დამუშავება, ძირითადად ინგლისურ ენაზე.
- ✓ რესპონდენტების აბსოლუტურმა უმრვლესობამ განაცხადა, რომ ისინი ფლობდნენ ინგლისურ ენას, მინიმუმ B1 დონეზე (მისაღებ გამოცდაზე აბარებენ, უნივერსიტეტში დაშვების წინაპირობაა), თუმცა ნახევარზე მეტი ამბობს, რომ რთულია მათთვის უცხოური ლიტერატურის დამუშავება, რაც ნიშნავს, იმას, რომ

B1 დონე სამარისი არ არის დაამუშავო სასწავლო ლიტერატურა მისი სპეციფიფკიდან გამომდინარე (ტერმინები, წინადადების რთული კონსტრუქციები, ლექსიკა).

- ✓ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი სახელმძღვანელოებით საკმარისი რაოდენობით, მხოლოდ ნაწილობრივ არის უზრუნველყოფილი .
- ✓ კვლევის პერიოდში გამოიკვეთა მთავარი პრობლემები, რომლებიც სახელმძღვანელოებს ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის:
    1. ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები
    2. წიგნების დაბალი ტირაჟით გამოცემა
    3. წიგნების მაღალი ფასი.
- ✓ სტუდენტები ფიქრობენ, რომ პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზებია:
    1. თარგმნა
    2. ახალი სახელმძღვანელოების დაბეჭვდვა
    3. უნივერსიტეტმა/ბიბლიოთეკამ შეიძინოს საკმარისი რაოდენობის სახელმძღვანელოები.

რეკომენდაციები

- ✓ შიდა და გარე მონიტორინგმა გაამკაცროს კონტროლი, რომ დამხმარე სასწავლო ლიტერატურა ქართულ ენაზე, ისევე იყოს ხელმისაწვდომი, როგორც ძირითადი სასწავლო ლიტერატურა.
- ✓ უნივერსიტეტებმა გააფორმონ ხელშეკრულებები გამომცემლობებთან, იმ თვალსაზრისით, რომ უფრო შეღავათიანად და დროულად განხორციელდეს ახალგამოცემული სასწავლო დანიშნულების სახელმძღვანელოების საკმარისი რაოდენობით საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების შევსება .
- ✓ საუნივერსიტეტო გამომცემლობამ თავის თავზე აიღოს ძველი წიგნების (რომლებიც აღარ იბეჭდება, მაგრამ შეტანილია სასწავლო სახელმძღვანელოთა ნუსხაში) გადამუშავება/განახლება და გამოშვება, მოთხოვნის შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საბჭოთა ასოციალისტური რესპუბლიკის სახალხო განათლების შესახებ, თბილისი, 1976 წელი
2. საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან, სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ, თბილისი, 1959 წელი.
3. საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებული, თბილისი, 1979 წელი
4. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები
5. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტები
6. კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, თბილისი, 2004წ, http://mes.gov.ge/publicInfo/wp-content/uploads/2013/12/%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98..pdf
7. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება https://www.tsu.ge/data/file_db/library/deb_lib_new.pdf
8. http://ekka.archimedes.ee/en/universities/quality-assessment-study-programme-group/, ესტონეთის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო
9. გერმანიის ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტები/Standards for Institutional Accreditation by AQAS http://www.aqas.eu/downloads/Criteria_Instit_Accreditation_AQAS.pdf?fbclid=IwAR0XXg79a0Wp23RC7U6XXTRhVhFI2y9iOMp_wgP_AK9FfdNDCyk-wFFTEns

10. გერმანიის პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტები/Criteria for programme accreditation https://www.aqas.eu/downloads/Criteria%20for%20Programme%20Accreditation.pdf
11. ტარტუს უნივერსიტეტის ინსტიტუციური აკრედიტაციის შეფასების ანგარიში / Assessment report for institutional accreditation ofUniversity of Tartu, , http://ekka.archimedes.ee/wp-content/uploads/UT-IA-Report.pdf
12. საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/33046?publication=4
13. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება, https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/02/debuleba.pdf
14. ტარტუს უნივერსიტეტის ბიბლიოთკის ოფიციალური ვებ-გვერდი https://utlib.ut.ee/en
15. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, 2015-2016 წწ ანგარიში, https://tsu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/danMtavar_16.pdf
16. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1927 წელი http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.11&d=HASH017e0040461d5b9067d374a5&gt=1
17. სსიპ-ილიას სახემწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, თბილისი, 2018, https://eqe.ge/res/docs/-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83-%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98.pdf
18. უსდს ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018 https://eqe.ge/res/docs/TSUfinalreportfinalGEO.pdf
19. ტაბატაძე შ. 2018 https://primetime.ge/news/1539603892%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9C

%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

დანართი 1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology and Educational Sciences

Master's program "**Educational Sciences**"

Nazi omarashvili

Study on practice for providing textbooks in Tbilisi State University students

(On the example of the faculties of social and political sciences and the exact and natural sciences)

The thesis is fulfilled for the purpose of getting Master's academic degree in Educational Sciences

Master's thesis advisor: Ephemia kharadze

Associate Professor of Faculty of Psychology and Educational Sciences at TSU,

Doctor of Pedagogical sciences

Tbilisi

2019